წელიწადი II. ფასი 10 კაპ. № 19-2.

# კოოპერაცია

სახალხო საზოგადო-ეკონომიური ჟურნალი — კვირა, 15 იანვარი, 1912 წ.

13317

ამ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს ეგზავნება ,,საკოოპერაციო ბროშიურების''-ს № 1: ,,მომხმარებელი საზოგადოების წესდება''.

მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-ეკონომიურ ჟურნალ

## წელიწადი კოოპერაციაზე მეორე

**პროგრამა**: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომიურ საკითხებზე, 2) წერილები მუნიციპალურ საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით**; 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმთელობაზე; ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე. **ჟურნალში** ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისის გარედ, გაგზავნით: წლიურათ 3 მ, ნახევარ წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურებს** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ის ხელის მომწერი, რომელნიც მოაწერენ ხელს ჟურნალზე ამა იანვრის 31-მდე და შემოიტანენ სრულათ წლიურ გადასახადს ათი შაურის დამატებით (დაუმატებლათ ღებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელი 1911 წლის 31 იანვრამდე) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრათ მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. ბიბნერის**, საუცხოვო წიგნს ქალთულათ: „კოოპერაციის სისტემები“, რომელიც ცალკე ღირება 1 მ. 20 კ.

1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის“, „გამგეობის პირველი ნაბიჯები''; ,,სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში''; ,,სახელოსნო კოოპერატივები'', გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, თ. ღლონტისა დ. ლამბაშიძისა (ლონდონიდან). ვ. თ. ტოტომიანცისა და სხვ.

1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.

ადრესი წერილის და ფულის გამოსაგზავნათ: Кутаисъ, **редакція журнала „Кооперація“**.

რედაქცია მოთავსებულია დროებით კირიშჩევის სახლში (თფილისის ქუჩა, სადაც გუბერნატორის კანცელარია იყო) რედაქტორი ღებულობს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე. აქვე მიიღება ხელის მოწერა დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**შინაარსი:** 1) მოწინავე (სალამი საქმიანობას — **ი. გ-ასი**); 2) სახ. ბანკი; იტალიაში 3) ხმა მოსკოვიდან, — **ენ-განისა**, 4) ქალაქი და ხალხი, — **თ. ღლონტისა**; 5) დედა-კატი და კოოპერაცია, — ვ. თ. **ტოტომიანცისა**; 6) სენ-სიმონი, — ბიოგრაფია სურათით; 7) საკრედიტო ამხ. ანგარიშები — თ-დი **მ. მიქელაძისა**; 8) მიმდინარე ცხოვრება; 9) წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება ქუთაისში; 10) თეატრი და კოოპერაცია; 11) კოოპერატივები, — **მირ. ოცხანელისა**; 12) საკოოპერაციო სექცია; 13) ჩვენი ფოსტა; 14) განცხადებანი.



სენ—სიმონი.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

გუბერნატორმა დაამტკიცა ქუთაისის მომხმარებელი საზ. **„ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ“**-ს წესდება. მოქმედება გაიხსნება რაც შეიძლება დაჩქარებით. **ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ** მოუწოდებს ადგილობრივ მცხოვრებთ ჩაეწერონ საზოგადოებაში. პაი ღირს 10 მ., შემოსასვლელი 1 მან. წევრებს ღებულობს საკრედიტო ამხანაგობის თავჯმდომარე **Ფ. ᲮᲔᲚᲐᲫᲔ**, თფილისის ქ., სახლი კიოიშჩევისა.

---

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

**სალამი ჩვენი ერის საქმიანობას! სალამი საკოოპერაციო სექციას!**

კოოპერატიული მოძრაობა საერთო ყურადღებას იქცევს. დასავლეთ ევროპის ყოველ ქვეყანაში კოოპერაცია შესამჩნევათ იზრდება, ვითარდება და იმუშავებს ახალ-ახალ ფორმებს!. ყოველი სასოფლო-სამეუნეო და სამრეწველო დარგში მას შეაქვს სიცოცხლისა და სიხალისის ახალი სხივები...

თითქმის ჩვენ თვალწინ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—ძლივს გავიდა მეოთხედი საუკუნე მას შემდეგ, რაც დანიაში 23 წლის სოფლის მეურნემ, შ. ანდერსენმა, დაარსა პირველი მერძევობის ამხანაგობა, რომელიც სამაგალითო შეიქნა სხვა ქვეყნებისთვინაც. ამ ჟამათ მთელს ევროპაში რამდენიმე ათასი ამნაირი და სხვადასხვა ფორმის ამხანაგობაა გაჩაღებული...

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ კაპიტალისტურ ფაბრიკის ზრდა საერთო განცვიფრებას იწვევს, მაგრამ ეს ზრდა თითქმის არაფერს არ წარმოადგენს კოოპერაციის ზრდა-განვითარებასთან შედარებით. გასულ საუკუნეს პირველ წლების ეკონომიურ ისტორიის ძირითად თვისებას წარმოადგენდა ფაბრიკა-ქარხნების ზრდა, ხოლო იმავე საუკუნეს უკანასკნელი წლები წარჩინებულ იქნა კოოპერაციის ზრდა-განვითარებით:—დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში კოოპერაციამ ერთიანათ გარდაქმნა გლეხობის მეურნეობა. დანიაში გლეხობა არამც თუ თავისუფლათ გრძნობს თავის თავს, არამედ მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონია; კოოპერაციის საშუალებით--რაღაც 25 წლის განმავლობაში—არამც თუ მოღონიერდა ის, არამედ გამდიდრდა კიდევაც. დაახლოვებით ასეთივეა კოოპერატიული ცხოვრების შედეგი დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც.

და აი ასეთი მძლავრი ეკონომიური ორგანიზაცია ჩვენშიდაც იკიდებს ნიადაგს ამ უკანასკნელ ხანებში. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ კოოპერაცია დიდს რამეს უქადის ჩვენს ქვეყანას. პირველ ნომრებშივე აღვნიშნეთ, რომ ამ ნიადაგზე შეერთებულის მუშაობით 5—10 წლის განმავლობაში ისე მოღონიერდება და აყვავდება ჩვენი ქვეყანა, რომ მისი გამოცნობაც ძნელი იქნება.

მართალი უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ეს „წინასწარმეტყველება“ სათუოთ მიგვაჩნდათ, ახლა კი ჩვენ თვალწინ გადაშლილია საამისო პერსპექტივები... თუ ამას არა, აბა რას ნიშნავს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ საკოოპერაციო სექციის გამოყოფა ასეთის ფართე მიზნითა და სამოქმედო გეგმით*)?

წინანდელ მოწინავეში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გასაკეთებელი ბევრია და საჭიროა მუშაობა მედგარი, ენერგიული, დაუღალავი. ასეთის მუშაობით და თავის გეგმის განხორციელებით საკოოპერაციო სექცია დიდს სამსახურს გაუწევს კოოპერატიულ მოძრაობის გამკვიდრებას ჩვენში. როგორც ვიცით, ახლო მომავალში განზრახულია ქუთაისის სასოფლო სამეურნეო კრების მოწვევა. ეჭვს გარეშეა, რომ ის, სხვათა შორის, მიიღებს თფილისის სამეურნეო საზოგადოების მიერ შემუშავებულ გეგმასაც. მალე საჭირო იქნება შეთანხმებულ მუშაობის საწარმოებლათ ცენტრალურ ბიუროს არჩევა და სხვ.

ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ამნაირათ, უკვე გადადგა ღირსშესანიშნავი ნაბიჯი.

სიტყვა ხალხს ეკუთვნის და მისთვის გულშემატკივარ ქველმოქმედებს!

ხალხს ბევრი ჩიჩინი არ სჭირდება იმისთვის, რომ გაიგოს—კოოპერაციის სარგებლობა. საქმის მთელი სიძნელე კოოპერაციის იდეის პრაქტიკულათ გატარებაშია. საჭიროა ამ თავითვე მიეცეს კოოპერატიულ მოძრაობას შეგნებული ხასიათი; საჭიროა პრაქტიკული და იდეური ხელმძღვანელების შექმნა; საჭიროა საკოოპერაციო ორგანო და საკოოპერაციო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელება. ყველა ამისთვის კი საჭიროა ფული, ფული და ფული.

ამიერიდან ჩვენს ქველმოქმედებს უნდა ახსოვდესთ, რომ საკოოპერაციო დაწესებულებები,—ის დაწესებულებები ან ორგანოები, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენში კოოპერაციის გამკვიდრებას,---მოითხოვენ მათგან მეტს ყურადღებას, ვინემ რომელიმე სხვა კულტურული დაწესებულება...

საქმის დასაწყისია ძნელი, მერე ყველაფერი თავისთავათ გაიჩარხება...

უნდა გვახსოვდესთ, რომ იტალიაში, დანიაში და სხვაგან კოოპერაცია მალე განვითარდა ქველმოქმედთა გულ-უხვობით (ლორია,**) ლუცატი, ეპისკოპოსი გრუნდტვიგი და მრავალი სხვ.).

კოოპერაციის საქმეში ყველამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი.

სიტყვა, ვიმეორებთ, ხალხსა და ამ უკანასკნელისთვის გულშემატკივრებს ეკუთვნიან...

თფილისის სასოფლო სამეურნეო,--საზოგადოე-

---

*) იხ. გვ. 13

**) იხ. ,,კოოპ.‘‘ № 4 და 5-ში: ,,კოოპერაცია საზღვარგარეთ‘‘.

ბამ ღირსშესანიშნავი ნაბიჯი გადადგა საქმიანობისკენ.

საკოოპერაციო სექციას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენში კოოპერატიულ მოძრაობის გამკვიდრებისთვის.

ვუსურვებთ ამ სიმპატიურ დაწესებულებას სრულ გამარჯვებას!

სალამი ჩვენი ერის საქმიანობას! სალამი მის გამოღვიძებას! სალამი პირველ საკოოპერაციო სექციას!

ი. ვ.

# სახალხო ბანკი იტალიაში.

თითქმის ორმოც და ათი წლის წინეთ,—მაშინ, როდესაც პატარა სახელმწიფო იტალია იბრძოდა თავის არსებობისთვის... ლოდში, კრემონში და მილანში ჩაეყარა საძირკველი საკრედიტო კოოპერაციას მაგალდისა და ლუცცატის დაუღალავის შრომით.

პირველი ნაბიჯის გადადგმა ხვდა წილათ პატარა კომუნა ლოდის. აქ 1864 წლის მარტის თვეში „იტალიის კოოპერაციის მამათ-მთავარმა", ლუცცატიმ, მოუყარა თავი ოთხას კაცს, რომლებმაც შემოიტანეს სამოც-სამოცი ლირი (22 მ. 50 კ.)—და დაიწყო მოქმედება იტალიის პირველმა სახალხო ბანკმა. ამ უკანასკნელმა მოუყარა თავი ხალხის გროშებს იმისთვის, რომ მიეწვდინა ისინი ისევ ხალხისთვის—იაფ კრედიტის სახით.

ამ პატარა საქმემ მალე გამოიწვია დიდი საქმეები და სახალხო ბანკის იდეა მთელ მხარეს მოედო... 50 წლის იუბილეისთვის—თავისუფალ იტალიამ უკვე დაინახა სახალხო ბანკების მთელი ქსელი, რომელნიც დიდათ უწყობენ ხელს მისი ეკონომიურ განვითარებას.

პირველათ იყო ერთი სახალხო ბანკი, ახლა კი 737. პირველი სახალხო ბანკი შესდგებოდა 402 წევრისაგან, ახლა კი მხოლოდ 690 სახალხო ბანკში შედის ნახევარ მილიონზე მეტი წევრი. ესენი არიან საზოგადოების დაბალი და საშუალო კლასები.

წევრთა ცამეტი და რვა მეათედი პროცენტი (13,8%) ქალაქის და სოფლის მუშებია; თექვსმეტი და რვა მეათედი (16,8%)—გლეხობა და წვრილი მშრომელი მოიჯარადრენი; ოცდა სამი და ორი მეათედი (23,2%)—წვრილი ხელოსნები; თექვსმეტი და შვიდი მეათედი (19,7%)—თავისუფალ პროფესიის ხალხი, და მხოლოდ რვა და ცხრა მეათედი (8,9%)—მსხვილი კაპიტალისტები.

იტალიაში ყოველ 46,500 მცხოვრებისთვის დაარსებულია ერთი სახალხო ბანკი, თითეულ იტალიელს საშუალო რიცხვით უწევს ბანკებიდან $28^1/_3$ ლირი*) შენახული ფული და $4^1/_2$ ლირი კაპიტალი. მაგრამ თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიცილიას, რომელიც წარმოადგენს ძლიერ ჩამორჩენილ მხარეს (სარდინიაში თითეულ სულზე შენახულ ფულის რაოდენობა ძლივს აწევს 15 სანტიმს ანუ $5^1/_2$ კაპ.),—თითეული იტალიელის (საშუალო რიცხვით) შენახულ ფულის რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება: ლომბარდიაში $96^1/_2$ ლირი, ემილიაში—$58^1/_2$, პიემონტაში $24^1/_2$...

სახალხო ბანკების გავრცელება უფრო აშკარათ გამოიხატება, თუ გავიხსენებთ, რომ 736 სახალხო ბანკის გარდა, იტალიაში არსებობს 480 განყოფილება... რაც ერთად შეადგენს 1216 საკოოპერაციო კრედიტის დაწესებულებას.

უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ წვრილი კრედიტის ადგილობრივ კასებს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან კოოპერაციის იდეით, და არა ჩარჩულის მისწრაფებით..

თითეულ ბანკს უწევს საშუალოთ 726 წევრი.., ეს არის დიდი კოოპერატიული ოჯახები...

მათი აქციები იაფ-ფასიანია: 5 ლირიდან 100-მდე და საინტერესოა ის, რომ თითეულ წევრს უწევს საშუალოთ $5^1/_2$ აქცია... და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში ადის 19, 10, 8... უმეტეს შემთხვევაში კი 2—4-მდე.

ეს გარემოება უზრუნველ ყოფს სახალხო ბანკებს სახალხო პრინციპების გადამახინჯებისგან და ახასიათებს მათ წმინდა ხალხურ დაწესებულებათ. აქ იყრიან თავს დაბალი და საშუალო კლასები მსხვილი კაპიტალიდან თავის დასაცავათ...

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ წვრილი აქციებიდან შემდგარა დიდი კაპიტალი... ამ 2750 აქციას 1908 წელში შეუდგენია 155 მილიონი და 664 ათასი კაპიტალი, სათანადო ფონდიანათ. მიბარებულ ფულის ჯამი კი გამოიხატებოდა თურმე 971 მილიონ და 168 ათას ლირაში...

აქედან ცხადია, რომ მათ ქონებიათ სულ ერთი მილლიარდი, ას ოცდაექვსი მილიონი და რვაასი ათასი ლირი... რაც, რა თქმა უნდა, დიდი თანხაა პატარა იტალიისთვის...

ამ თანხის რაოდენობა უფრო აშკარათ წარმოგვიდგება, თუ მას შევადარებთ გერმანიის სახელგანთქმულ სახალხო ბანკებს.

იქ, გერმანიაში,—სადაც იტალიასთან შედარებით ორჯერ მეტი ან თითქმის ორჯერ მეტი მცხოვრებლებია—არსებობს 1022 სახალხო ბანკი; კაპიტალი და სადათარიგო ფონდი უდრის 380 მილ. და 429 ათასს, ხოლო მიბარებულ ფულების ჯამი—1 მილლიარდსა და 324 მილიონს,—საერთო ჯამი კი—ერთ მილლიარდსა და ექვსას 9 ათასს...

ეს შედარება აშკარათ ლაპარაკობს იტალიის სასარგებლოთ—მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის სახალხო ბანკებში უფრო მეტი საშუალებაა თავ-

*) ლირი—$35^5/_6$ კაპ.

მოყრილი...

ძლიერ საინტერესო სურათს გვიშლიან იტალიის სახალხო ბანკების მიერ გასესხებულ ფულთა ციფრებიც. ისინი ცხადათ გვიჩვენებენ, თუ საითკენ მიიმართება მათი დახმარება და როგორია ამ დახმარების რაოდენობა.

1908 წელს მიწის მუშებს მიეცა დახმარება 772 ათასჯერ=440 მილიონი; ვაჭრებს—809 ათასჯერ=541 მილიონი; წვრილ და მსხვილ მეფაბრიკეთ და ხელოსნებს—447 ათასჯერ=426 მილიონი; მოხელეებს—51 ათასჯერ=19 მილიონი და სხვ. სულ გაუციათ 2 მილიონი და 566 ათასი სესხი=ერთი მილიარდი ექვსას ოთხმოც და ცხრა მილიონი და შვიდას ორმოც და ხუთიათას ლირა...

აქ ასანიშნავია ისიც, რომ საშუალოთ რაოდენობა სესხისა არ აღემატება 364—951 ლირას, ე. ი. 137—356 მან. ეს გარემოება კი ცხადზე უცხადესს ჰყოფს იმას, რომ დახმარება აღმოჩენილია საზოგადოების უღარიბეს კლასებისთვის.

საშუალოთ, გაცემულ სესხის რაოდენობა თითეულ სულზე გამოიხატება $658^1/_2$ ლირაში, ხოლო ყველა ოპერაციის რიცხვი ადის 2,566,387-მდე.

„ოგ".

(დასასრული იქნება).

# ხმა მოსკოვიდან.

## ორიოდე სიტყვა სახალხო ბანკზე.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

როგორც ვიცით, მოსკოვში არსდება „სახალხო ბანკი", რომელსაც მიზნათ ექნება გაუწიოს დახმარება კოოპერატიულ დაწესებულებებს იაფი, ხელმისაწდომი კრედიტის სახით. ეს ბანკი არსდება აქციონერულ საფუძველზე. ბანკის ძირითად თანხას შეადგენს ერთი მილიონი მანათი, რომელიც იყოფება 4000 აქციებათ. თითეული აქცია ღირს 250 მანათი. აქციის შეძენა შეუძლია, როგორც კოოპერატიულ დაწესებულებებს, აგრეთვე კერძო პირებსაც. გასულ წლის 1 დეკემბრამდე სახალხო ბანკის 4000 აქციიდან გამოუწერიათ 1204 აქცია. ამ რიცხვიდან 468 საკრედიტო კოოპერატივს გამოუწერია 1157, 95 მომხმარებელი საზოგადოებას—323; 7 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას—61; 6 საერობო კასას—12; 5 საერობო თვითმართველობას—17; 4 სხვადასხვა ორგანიზაციას (თვითდამხმარებელი კასები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები)—57 და 54 კერძო პირს—277. ამნაირათ დარჩენილა გასანაღდებლათ კიდევ 2096 აქცია.

რადგანაც დამფუძნებლების მიერ დანიშნული ვადა, 1 იანვარი 1912 წ., უხერხული გამოდგა იმ მხრივ, რომ ზოგიერთ კოოპერატივის გამგეობამ ვერ მოასწრო საგანგებო კრების მოწვევა, ამიტომ რამდენიმე კოოპერატივის თხოვნით დამფუძნებლებმა გააგრძელეს ვადა 1912 წლის 20 თებერვლამდე (ამ ვადის განმავლობაში მსურველებმა უნდა შეიტანონ ნაწილი პაისა—125 მანეთი, და დამატებითი აქციისთვის 5 მანეთი; პაი ღირს 250 მ.)

უნდა ისარგებლოს ყველა კოოპერატივმა ამ ახალ შეღავათით და პირველ საზოგადო კრებებზე უნდა გადაწყდეს საკითხი აქციის შეძენის შესახებ. დამფუძნებლები, როგორც სჩანს, ყოველ ზომას ღებულობენ, რომ სახალხო ბანკმა თავის შემადგენლობით მიიღოს კოოპერატიული ხასიათი. ახლა ჩვენგან არის დამოკიდებული, თუ რამდენათ ვისარგებლებთ ამ პირობებით თავის ინტერესების დასაცავათ.

უნდა გვახსოვდესთ, რომ სრულიათ რუსეთის კოოპერატორების პირველმა კრებამ აუცილებელ საჭიროთ სცნო ასეთი ბანკის დაარსება, რაის გამო საკითხი სახალხო ბანკის შესახებ დააყენა პირველ რიგზე.

უნდა მივაქციოთ ყურადღება სრულიად რუსეთის კოოპერატორების ხმას და მივიღოთ ყოველივე ზომა მისი გასატარებლათ პრაქტიკულ ცხოვრებაში.

სანამ კოოპერაციას არ ექნება თავისი საკუთარი ბანკი, მანამდი ის არ იქნება დაყრდნობილი მაგარ საძირკველზე. კოოპერატივების გამაგრება შეიძლება მხოლოდ თვით კოოპერატივების მიერ საფინანსო ცენტრში მოგროვებულ კაპიტალით.

ხომ ხედავთ, რომ გაჭირვების დროს კაპიტალისტები სულს იბრუნებენ ბანკის საშუალებით? მერე რამდენი ბანკი არსებობს მათთვის! კოოპერატივებისთვის ჯერ არ არის არც ერთი ბანკი, რომელიც დაიცავს მათი ინტერესებს ყოველ მხრივ.

მართალია, უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო ბანკი ხელს უწყობს საკრედიტო კოოპერატივებს, მაგრამ ის სრულებით უარს აცხადებს კოოპერაციის სხვა ფორმებისთვის სამსახურის გაწევაზე. ამის გარდა სახელმწიფო ბანკს არ შეუძლია დაიხმაროს კოოპერაციის წარმომადგენლები კოოპერატივებს შორის კაპიტალის განაწილების საქმეში.

და აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფული მხოლოდ მაშინ შეიძლება მიზნის შესაფერად

განაწილდეს, როდესაც ამ განაწილებაში თვით კოოპერატივები იღებენ მონაწილეობას.

ამიტომ კოოპერატივის თითეული წევრის მოვალეობაა—დაიცვას თავისი და კოოპერაციის ინტერესები და შეიტანოს თავისი წვლილი **სახალხო ბანკის** ორგანიზაციაში.

მაშ, მხნეთ შევუდგეთ საერთო საქმეს და გავატაროთ საზოგადო კრებებში საკითხი სახალხო ბანკში წევრათ ჩაწერვის შესახებ. უნდა გადაიდვას საშუალება აქციის შესაძენათ მოგებიდან ან საერთო საწარმოვო თანხიდან. თუ ეს საშვალებები არ მოეპოვება კოოპერატივს, მაშინ მისმა წევრებმა უნდა მოაგროვონ ფული თავიანთ შორის. თუ წევრებს შორის ხელის მოწერით არ შესდგა საკმარისი თანხა, მაშინ მოგროვებული ფული უნდა გაიგზავნოს მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის სახელზე, სახალხო ბანკის აქციების შესაძენათ სპეციალურ კაპიტალის შესადგენათ.

ვისარგებლოთ შემთხვევით, ხელი შევუწყოთ კოოპერატულ ბანკის დაარსებას და გამოვიყენოთ ყოველი საშუალება იმისთვის, რომ ბანკის აქციები განაწილდეს მხოლოდ კოოპერატივებს შორის.

ვიკმაროთ ის, რომ დღემდე ჩამორჩენილი ვიყავით კოოპერატიულ ცხოვრებას. დროა ჩვენც ჩავერიოთ კოოპერაციის საერთო ფერხულში!

მოსკოვის სახალხო ბანკი ჩვენც გაგვიწევს სამსახურს. ჩვენგანვე არის დამოკიდებული მისი განყოფილების გახსნა ჩვენში, საქართველოში და მის სხვადასხვა კუთხეში. ეს მოსახერხებელი იქნება მაშინ, როცა მონაწილეობას მივიღებთ მისი აქციების განაღდებაში.

**ენ—ბან.**

# მუნიციპალური ცხოვრება.

## ქალაქი და ხალხი.

2*)

მხოლოდ ამ მხრიდან აიხსნება მეცნიერულათ ყოველგვარი მოვლენა მუნიციპალურ ცხოვრებაში. სახელმწიფოებრივ უფლებაში—პრინციპი კლასობრივ ბრძოლის ზე-გავლენისა კაი ხანია გამარჯვებულათ ითვლება. ზოგიერთი ფრანგი და ბელგიელი იურისტები—რომ არ დღვასახელოთ შესანიშნავი გერმანელი იერინგი და სხვა მთელ თავიანთ ენაწყლიანობით ამტკიცებენ (მაგალითად ბელგიელი ედმონდ პიკალი) უფლება—ძალააო და ასე პირ-იქით, რასაც პრაქტიკული ცხოვრება და თანამედროვე სახელმწიფოების ეგრედ წოდებული საერთაშორისო განწყობილება მშვენივრათ გვიმტკიცებს[1]). მაგრამ ჩვენ შეიძლება აქ ბევრმა შეგვაჩეროს: თქვენ, ბატონო, საზოგადო ცხოვრებას და ასეთ საზობადო სახელმწიფოებრივ ძალებს იღებთ და მათ ურთ-ერთ განწყობილებას ეხებით, მოითმინეთ, აქ კონკრეტიულ კითხვებზე გადაბრძანდით, პირდაპირ თფილისზე და თფილისის ცხოვრების ასპარეზზე; აქ ხომ სულ სხვაფერაა საქმე დაყენებული? ჯერ ერთი, ჩვენ იძულებული ვართ განსაზღვრულ საარჩევნო წესთა ფარგლებში ვიტრიალოთ, მეორე, თფილისში თავმოყრილია მრავალი ეროვნობა, სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა გულის ნადებით, სხვა დასხვა მისწრაფება—ეროვნულ ალტკინებით. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თფილისის მშრომელ ხალხის ნამდვილ კეთილდღეობას სათანადოთ ვემსახუროთ, მთელი ქალაქის მსხვილი მეურნეობა ისე მოეწყოს, როგორათაც ეს ხალხის ინტერესებთან იქნება დაახლოვებული?

ის გარამოება, რომ თფილისი თავის ეთნოგრაფიულ შუამდგომლობით რთულ სხვადასხვაობის განხორციელებაა ბევრს დავთარს უბნევს და მარტივ ჭეშმარიტებას ბუნდოვანათ ხდის, ნამდვილათ ქალაქი თფილისი სფიქსად იქცევა და შემდეგ ვინ იცის ამ გამოურკვევლობაში რამდენი ფანტასტიური პლანები არ იმუშავება. ამიტომ ჩვენ პირველ ყოვლისა მეცნიერული წარმოდგენა უნდა გვქონდეს თვით თფილისზე, თფილისის სოციალეკონომიურ ძალათა-განწყობილებაზე იმ საძირკველზე რომელმაც გამოიწვია ამ ქალაქში სხვადასხვა ერთა თავის მოყრა, კონგლომერაცია.

რას წარმოადგენს თფილისი? რა არის თფილისი—როგორც ქალაქი? თფილისი არა ჩვეულებრივს არაფერს არ წარმოადგენს, ის ერთი ევროპიული ქალაქთაგანია, როგორც სხვა ქვეყნების. ფეოდალური წესები და ბატონ-ყმური კარჩაკეტილობა აქ სრულათ აღარ არსებობენ. მსხვილი მრეწველობის და ათასნაირ ქარხანა-ფაბრიკის არსებობით, მრავალ მუშა ხალხის კონცენტრაციით და დიდი ვა-

*) იხ. „კოოპერიცია“ № 18.

[1]) მიპასუხეთ—თუ არა ძალით, მაშ რა უფლებით მოახდინა ავსტრო-ჰუნგრეთმა ბოსნია-გერცოგოვინას ანექსია, რა უფლებით გამოაცხადა იტალიამ ტრიპოლ-კირენაიკის შემოერთება?

თ. ღ.

ჭრობა-ალებ-მიცემობით, ამ ქალაქის ცხოვრება უკანასკნელ ხანებში დიდათ წინ წავიდა, ქალაქის ხარჯთაღრიცხვა ქედ-უხრელ პროგრესიით მიდის წინ, მეურნეობა კიდევ უფრო დიდდება და ამ რთულ საქმის მოწყობას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევაო. როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ შემთხვევაში, რომ მშრომელ ხალხის ინტერესები სათანადოთ იქმნას განვითარებული? ამბობენ (არჩილ ჯორჯაძე, არჩ ჯ-შვილი, „კოლხიდა,“ პ. გოთუა და ამხ.), რადგან თფილისი მრავალ ეროვნებათა კონგლომერატს წარმოადგენს, ამიტომ არჩევნებში ეროვნულ რაოდენობის მიხედვით გამოვიდეთ და ამ რიგათ ეროვნულ წრიდან წამოვაყენოთ დემოკრატიული კანდიდატიო. მიზანი ხალხის სამსახურია, საშვალება ეროვნული ცნობიერება და ეროვნობის მიხედვით ხალხის დანაწილება. თფილისში სხვა და სხვა ეროვნობაა, ყველა ეროვნობა უნდა დაიცოს, მაგრამ როგორ? დიახ, ამა თუ იმ ეროვნებას ის უფრო დაიცავს, ვინც თავის ეროვნებას ეკუთვნის. სომეხი სომხისას უფრო დაიცავს, ვინემ თათრისას ან ქართველისას, რუსები რუსების ინტერესს უფრო დაიცავს, ვინემ დანარჩენ ეროვნებისას. ერთი შეხედვით ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, მხოლოდ ზეზერეულათ. გადაშალეთ საქმის მთელი შინაარსი და თქვენ დაინახავთ, რომ ყოველივე ეს ზღაპარია. მართლა, როგორ უნდა დაიცვას ბატ. გოთუამ, მაგ., თფილისის ქართველ მუშათა ინტერესები? ან ანტონოვმა რუსი მუშების, ან ხატისოვმა—სომხის? რომ ეროვნება ისეთი საფუძველი იყოს, რომლის წიაღში, ეროვნების ჩარჩოში, ისპოპოდეს ერთ და იმავე ხალხის ურთ-ერთ ნაწილების ექსპლოატაცია, მაშინ სომხობაში სხვადასხვა კლასობრივი ელემენტები არ იარსებებდენ, მაშინ სომხებს შორის არ იქნებოდა ექსპლოატაცია მდიდარ სომხის მიერ ღატაკ სომეხის. მაშინ ქართველობა ერთ მასსის განხორციელება იქნება, ინტერესიც ერთი იქნება, მიზანიც ერთი. მარა ეს ხომ ცხოვრების სინამდვილეს სრულათ არ წარმოადგენს.

თფილისი სხვადასხვა ეროვნების ქალაქია. მაგრამ, რას წარმოადგენს ეს ეროვნული თაიგული? რამ შეყარა უმთავრესათ ეს ხალხი ამ ქალაქში? თფილისის--ზრდა განვითარება მთელ მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიურ ცხოვრების ზრდა-განვითარების შედეგია. წარმოება ალებ-მიცემობის გაფართოვებამ გაადიდა და გააევროპიელა ეს ქალაქი, წარმოების განვითარებამ მოახდინა ამ ქალაქში სხვადასხვა ეროვნებათა არა ბუნებრივი გამრავლება. სოფლებიდან ქალაქში გადმობარგდა ხალხი, ეკონომიურათ ჩამორჩენილ კუთხეებიდან გადმოვიდა აქ სამუშაოს ძებნაში გართული ხალხი. ყველა კი აქ საქმისათვის არის მოსული [1]). ერთი ვაჭრობს, მეორე მოხელეა, მესამე მექარხნე-კაპიტალისტია, მეოთხე შავი მუშაა, ზოგი ხელზე მოსამსახურეა, ზოგი კანტორის მომუშავეა, ზოგი ექიმია, ზოგი ვექილი, პუბლიცისტი, პოეტ-მხატვარი, მოქანდაკე, მღებავი, დალაქი, ერთი სიტყვით--აქ თავმოყრილია ხალხი ალებ-მიცემობის, ხალხი მწარმოებელი. კაპიტალისტი და მუშა, დამქირავებელი და დაქირავებული—აი საერთოდ ამ ხალხის ურთ-ერთი დამოკიდებულება. რამდენიც უნდა აჩიჩინდეთ თფილისის ქალაქის მცხოვრებთა პირობებს, თქვენ აქ მხოლოდ ორ გარამოებას აღმოაჩენთ: აქ თავმოყრილია შრომის ხალხი, წარმოების ელემენტები. აქაური ცხოვრება წარმოების საზოგადო პირობებია. **წარმოება სოციალურ ჩარჩოში და არა ნაციონალურში.** აქედანაა, რომ ვერ დაასახელებთ ისეთ ნაციონალურ, ისეთ ეროვნულათ გამოყოფილ, განცალკევებულ დაწესებულებას, რომელშიაც მხოლოდ ეროვნულ ძალას ქონდეს გასავალი და სადაც რაიმე განსაკუთრებით ეროვნული კეთდებოდეს. ბაზრობამ არ იცის ეროვნობა, ვაჭრობამ არ იცის სომეხი, ქართველი, თათარი. ვაჭრობამ იცის მხოლოდ ფული და ფულის ხალხი, რადგან ვაჭრობა—ეს თფილისის ნამდვილი საფუძველია, რომელიც აღმოცენებულია საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაზე და არა ნაციონალიზმზე, ამიტომ ჩვენც კითხვას ნაციონალისტურ პრინციპის გარეშედან უნდა ვეხებოდეთ. ქართველი ამომრჩევლების ერთი ჯგუფი ასეთ ამბავს ვერ ინელებს და ის აღიარებს: ქართველ ხალხის ინტერესების დაცვას მხოლოდ ქართველები შესძლებენო. მე მგონია, რომ ასეთი შეხედულება ძირითადათ შემცდარია. და აი როგორ, რატომ.

ქართველებმა ქართველების ინტერესები უნდა დაიცონ. ცხადია, რომ ეს მიზანი იმიტომ დაბადებულა, რომ აქნობამდე ქართველ ხალხის ინტერესი ქალაქში სათანადოთ არ იყო დაცული. წარმოვიდგინოთ, რომ ქართველ ამომრჩევლებმა მიზანს მიაღწიეს და ქალაქის თვითმართველობაში თავიანთი კაცები გაიყვანეს და ისიც დაუშვათ, რომ ამ კაცებმა ქართველ ხალხის ინტერესების დაცვა კარგათ შესძლეს. რა მოხდება ამით? სოციალისტობა, მაგალითად, ეროვნობით როდი ხასიათდება, არამედ სოციალურ მდგომარეობით და სოციალურ მიზნებით. მშრომელ ხალხის ინტერესს ვიცავთ ენით, ქართველ მშრომელ ხალხს, და საკვირველია—რითი განირჩევა ქართველი მუშა სომხის მუშისაგან? თუ

*) მხედველობიდან ნუ გაუშვებთ, რომ დიდი უმეტესობა ქალაქის მცხოვრებლებისა მოსული ელემენტებია, რითაც თანდათან წინ მიდის თფილისის არა ბუნებრივი გამრავლება მცხოვრებთა რაოდენობით. თ. ღ.

ქართველები ქართველ მუშის ყოფა-ცხოვრებას შესწირავენ მთელ თავიანთ ძალას, მაშინ სომხის მუშათა ბედი ხომ დაიჩრდილა, შეიძლება კიდეც გაუარესდეს? მაშინ ხომ იბადება შური დაჩაგრულ სომეხ მუშას და ბედნიერ ქართველ მუშას შორის? მაგრამ ქართველთა ბიუროს დეკლარაცია გვაიმედებს: ჩვენ ყველა დაბეჩავებულ ხალხის ინტერესებს დავიცავთო. მაგრამ ამას ვინ დაიჯერებს? ან როგორ შეიძლება ამის დაჯერა, განა თქვენვე არ ამბობთ ხალხის ინტერესი ეროვნებათა მიხედვით უნდა იქნას დაცულიო? ეს ხომ არის ეგრეთ წოდებული ლოღიკური სალტო-მარტალე? თუ მხოლოდ ეროვნობაა ეროვნობის დამცველი, მაშინ იმ ეროვნების ინტერესი უფრო იქნება დაცული, რომელიც გაიმარჯვებს, რომელიც უფრო ძლიერია. ძლიერი ეროვნება გაბატონდება, ის გააბატონებს თავის ენას, თავის ზნე-ჩვეულებას და სხ., რითაც დაჩაგრავს უფრო უძლურ ეროვნებას. აქიდან წარმოიშობა ის ეროვნული კაციჭამიობა, რომელსაც, სამწუხაროდ, დიდი ნიადაგი აქვს როგორც კავკასიის შეუგნებელ ერთა შორის, ისე რუსეთის ხალხთა ბნელს ძალებში.

ასეთი ნაყოფის მოტანა იცის ეროვნების მიხედვით დანაწილებამ და ამ ნაყოფის გულისათვის ყოველი ნამდვილი გულშემატკივარი დაჩაგრულთა და დავრდომილთა უნდა მიისწრაფოდეს, რათა ეს ნამდვილი ზოოლოგიური ნაციონალიზმი საშოშივე ჩაჰკლას, ჩაასამაროს, რომ მის ნაღრჩობით აღმოცენდეს მართლა საღი, მშვენიერი აზრი და მიმართულება, მიმართულება სოციალურ საფუძველზე დაყრდნობილი, რომლის მიზანი იქნება სოციალურათ დაჩაგრულ ყველა ერის სოციალურათ გათავისუფლება.

**თ. ღონიერი.**

---

## დედაკაცი და კოოპერაცია.

ქალების მიმხრობა კოოპერაციისადმი, მათი დაინტერესება კოოპერატიულ ცხოვრებით—სადღეისო საკითხია კონტინენტალურ ევროპისათვის. არც გერმანიაში, არც ავსტრიაში, არც ბელგიაში და არც, რა თქმა უნდა, საფრანგეთში დედა-კაცი არ ღებულობს ჯეროვან მონაწილეობას მომხმარებელ საზოგადოებაში, სადაც მათი როლი უპირველესი უნდა იყოს. უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში და გერმანიაში ქალები დაინტერესდენ პოლიტიკურ თანასწორობის საკითხით, მაგრამ, სამწუხაროთ, ისინი ვერ იჩენენ სიცოცხლეს მეურნეობრივ ცხოვრებაში, რომლის ასპარეზი გადაშლილია მათთვის მომხმარებელ საზოგადოებებში.

ამის გამო საფრანგეთისა და გერმანიის კოოპერატიული ცხოვრების კარგათ მცოდნე, კ. მიუჰლერი, ჟურნალ „L'Union Cooperative"-ს ერთ ნომერში მოგვითხრობს შემდეგს. მიუჰლერი დასწრებია დეპუტატთა პალატაში უკანასკნელ არჩევნების დროს კრებას იმ „სუფრაჟისტკებისას", რომელიც ცდილობდენ გაეყვანათ პარლამენტში თავისი კანდიდატი. რამდენიმე ქალის სიტყვების შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ერთი ღარიბათ ჩაცმული ქალი, რომელიც ერთობ კრთოდა სიტყვის თქმის გამოუცდელობის გამო და რომელმაც თავისი გულწრფელი სიტყვით მიიპყრო მთელი კრების ყურადღება. „თქვენ გინდათ,—დაიწყო მან,—რომ ჩვენ გავერიოთ პოლიტიკაში, მონაწილეობა მივიღოთ პოლიტიკურ საქმეებში? ვინ იმუშავებს მაშინ ჩვენს მაგიერ? განა ჩვენ ცოტა საქმე გვაქვს, ჩვენ არ გვაწევს თავზე ბოვშების მოვლა და მთელი მეურნეობა? ტყვილათ ფიქრობთ თქვენ, რომ თითქო პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება ჩვენ წინ წაგვიყვანს! პოლიტიკა ეს იგივე ვაჭრობაა: აქ შეუძლებელია მოქმედება სხვების მოტყუებისა და სიცრუეს უმისოთ. ჩვენ არ უნდა მივილტვოდეთ სიცრუესა და მოტყუებისაკენ, რაც ისედაც ბლომათ ხდება ჩვენს გარშემო. თქვენ გგონიათ, რომ რამდენიმე ქალი, რომლებიც მოხვდებიან პარლამენტში, შესცვლიან არსებულ წყობილებას? არა, მე თქვენ არ-გამოგყვებით! ჩვენ, ქალებს, გვაქვს უფრო სასარგებლო, დაუყონებელი და უფრო ხელმისაწვდომი საქმე,—მე მაქვს სახეში კოოპერაცია. დიახ, კოოპერაცია—ეს გამრავლებული ოჯახია, სადაც, თუ მოვისურვებთ, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ბატონ-პატრონი. განა სირცხვილი არ არის ჩვენი, რომ მომხმარებელ საზოგადოებებში საპონსა, ერბოს და სხვა ასეთებს ყიდულობენ მამა-კაცები, რომლებსაც მათი არაფერი გაეგებათ? თქვენ ჩივით, რომ ყველაფერი გაძვირდაო, რომ შეუძლებელია რამეს ყიდვა ისე, რომ არ მოგატყუონ ან წონაში და ან ფასებშიო, რომ გააფარშივეს რძე, ერბო და სხვა სანოვაგე და გვეწამლება სიცოცხლეო!.. მაგრამ ვინ გიშლისთ თქვენ ხელს, რომ თითონ მოაწესრიგოთ საქონლის ყიდვა-გაყიდვის საქმე და ჩამოიშოროთ ფალსიფიკატორები და ჩარჩ-მევახშეები, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომით?.. ქალებისთვის საუკეთესო „პოლიტიკა"—ეს კოოპერაციაა. ეს უფრო სასარგებლოა მათთვის, ვინემ თქვენი ოცნება კანონების გამოცხობაზე. ისინი, ვინც პოლიტიკაში ღებულობენ მონაწილეობას, მოგვაგონებენ იმ ძაღლს, რომელიც მიანებებს თავს ნანადირევს და გაედე-

ვნება აჩრდილს. დაე, ვისაც ჰსურს—მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში, დაეწაფონ აჩრდილს,—ჩვენ კი მოუვლით თავის ხვედრს, ე. ი. კოოპერაციას!. როდესაც მომხმარებელი საზოგადოებები გამძლავრდებიან ქალების მეცადინობით, მაშინ მართლაც ქალები იქნებიან ქვეყნის ბატონ-პატრონი.—ასე თქვა ქალმა,--ათავებ სთავის მოთხრობას მიუტჩლერი, —რომელიც ხალხიდან იყო წარმოშობილი. გასაკვირველია, რომ მისთვინ სიტყვა არავის არ შეუწყვეტინებია.--თითქო კოოპერაციისადმი მისი რწმენამ მოიპოვა ნიადაგი იმ აუდიტორიაში, სადაც მრავალი მდიდარი ქალებიც იყვნენ.

დასასრულ ჩვენ ვამატებთ, რომ კ. მიუტჩლერი სულაც არ არის წინაალმდეგი ქალთა უფლების გათანასწორებისა. ის ფიქრობს მხოლოდ, რომ ქალებისთვის კოოპერაცია უფრო საყურადღებოა, ვინემ პოლიტიკა.*)

გ. ტოტომიანცი.

## სენ-სიმონი**)

მეთვრამეტე საუკუნე ღირსშესანიშნავია, იმით, სხვათა შორის, რომ მან მისცა კაცობრიობას ბევრი წარჩინებული და საამაყო ადამიანი. ასეთ ადამიანთა ბანაკს ეკუთვნის სენ-სიმონიც, რომელსაც თავის ცხოვრების უპირველეს მიზნათ დასახული ქონდა: კაცთმოყვარეობა, ურთიერთ შორის სიყვარული, პატივისცემა, მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრება, მეცნიერების განვითარება, მის თანახმად ცხოვრების ახალ წესების დამყარება და სხვა. ბიოგრაფების სიტყვით, სენ-სიმონი იყო ბრწყინვალე და არა ჩვეულებრივი პიროვნება, რომელიც იწვევდა დიდს ალფრთოვანებას თავის ნაცნობებს შორის. ეს ისეთი პიროვნებაა, რომლის აწერვა შეუძლებელია მოკლე ბიოგრაფიულ წერილში. შემდეგ ნომრებში ჩვენ გვექნება შემთხვევა შევეხოთ მას, როგორც გამოჩენილ მოაზრეს, მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს. ახლა!კი—განსაზღვრულ ადგილის გამო—გაუზიარებთ მკითხველებს ზოგიერთ ცნობებს მის ცხოვრების შესახებ. სენ-სიმონის პიროვნება და მოძღვრება მით უფრო საყურადღებოა, რომ, ზოგიერთ ბიოგრაფების ცნობით, ის დიდ გავლენას ახდენდა თავის თანამედროვე გამოჩენილ ეკონომისტებზე და საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებმაც ძლიერ თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს კაცობრიობის ცხოვრებაში.

სენ-სიმონი დაიბადა 1760 წლის 17 ოკტომბერს წარჩინებულ და ძლიერ მდიდარ ოჯახში. რუსეთის ცნობილ მწერალ და საზოგადო მოღვაწე მიხაილოვის სიტყვით—სენ-სიმონი გრაფის, ხოლო მეორე ბიოგრაფის (მიშლე) სიტყვით—კარლ დიდის შთამომავალი იყო. სენ-სიმონის მამა ძლიერ მდიდარი იყო, ამის გამო მან (სენ-სიმონმა) ძლიერ ,,მხიარულად‘‘ გაატარა თავისი ახალგაზდობა. მან გაფლანგა თავისი ქონება ისე, როგორც ფლანგავენ მას, საზოგადოთ, მდიდრის შვილები ცხოვრულურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. გაფლანგა, მაგრამ... ფუჭად ალიარა ასეთი ცხოვრება.

სენ-სიმონი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა და ასეთ მდგომარეობის გავლენით მან გამოიმუშავა თავისი მსოფლმხედველობა, იდეა. პროფესორ ბულმაკოფის აზრით, შეცდომა იქნება სენ-სიმონის აღიარება სოციალიზმის წარმომადგენლათ, ვინაიდან ის შრომასა და კაპიტალს შორის არავითარ წინაალმდეგობას არ ხედავს. მისთვის ორივე ერთად წარმოადგენს მრეწველობას,—ძალას, რომელსაც ის უპირდაპირებს ფეოდალურ და არისტოკრატიულ პრივილეგიებს. სენ-სიმონის მოძღვრებაში საყურადღებოა ამ იდეის განვითარება იმ მხრივ, რომ ის დიდ ანგარიშს უწევს ისტორიულ პირობებს... არის საბუთები, რომ სენ-სიმონის მოძღვრებამ გავლენა იქონიე მარკსზედაც. თავის თხზულებებში სენ-სიმონი ხაზს უსვამდა თანასწორობის ძირითად თვისებებს: ის უარყოფდა წოდებრივ პრივილეგიებს და იცავდა შრომის უფლებებს.

სენ-სიმონისტების მოძღვრებით სა ზოგადოებრივი ცხ ოვრება დაყრდნობილია ორ საფუძველზე: ეგოიზმ ზე ან ინდივიდუალიზმზე და შეერთებაზე,

*) ეს წერილი ჩვენ გადმოგვაქვს „Недѣля“-დან, რომლის რედაქცია თხოვს თავის მკითხველებს გამოსთქვან თავისი აზრი ტოტომიანცის წერილში აღძრულ დებულებათა შესახებ. „Недѣля“-ს მკითხველები, ეჭვს გარეშეა, გამოეხმაურებიან რედაქციას ამ წინადადების შესახებ და ჩვენ თავის დროზე გადმოვბეჭდავთ მათი შეხედულებასაც, თუ ამას დავინახავთ საჭიროთ. პირად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ კოოპერაციის ნეიტრალობა არ აძლევს უფლებას მისი იდეით გამსჭვალულთ ასეთის გზით მიიმხრონ წევრები. „გამოუცდელ ორატორ—ქალის“ სიტყვა იმდენათ კარგავს თავის მნიშვნელობას, რამდენათაც ის ეხება „პოლიტიკას“ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმღებთ. ქალებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოოპერაციაში, მაგრამ უკანასკნელი სულაც არ მოითხოვს, რომ ამის გამო მათ აძაგონ სხვა ფორმის მოძრაობა. სასურველია, რომ ჩვენი მკითხველებიც გამოსთქვამდენ თავის აზრს ამ საკითხის შესახებ.

რედ.

**) იხ. სურათი პირველ გვერდზე.

ასსოციაციაზე ან ამხანაგობაზე ჩვენ გვაინტერესებს სწორეთ ეს მხარე მისი მოძღვრებისა. სენ-სიმონიდან იწყება ახალი ორგანიული ხანა, როდესაც ახალ რელიგიის საფუძვლებზე დაქუცმაცებული საზოგადოება ერთდება ასსოციაციებში. წარმოების ორგანიზაცია იმდენათ უნდა შეიცვალოს, რომ თითეულ ადამიანს შესაფერი ადგილი უნდა ქონდეს თანამედროვე საზოგადოებაში და ბოლო უნდა მოეღოს სიმდიდრესთან დაკავშირებულ პრივილეგიებს. ყველა უნდა აკეთებდეს იმას, რაც მას შეუძლია და ყველას უნდა ეძლეოდეს ის, რასაც ის აკეთებს. სახელმწიფომ უნდა იკისროს მთელი წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების მართვა-გამგეობა. ამისთვის მან უნდა მოაწყოს ცენტრალური ბანკი, რაისათვის კი უნდა მოაქციოს თავის განკარგულებაში მიწა და კაპიტალი, – სახელმწიფო უნდა განაგებდეს მრეწველობას და ვაჭრობას, თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს უკანასკნელებს და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, სენ-სიმონის მოძღვრება აკუთვნებს სახელმწიფოს ისეთ უფლებას, რანაირსაც სხვა გამოჩენილი მოაზრე და მოღვაწენიც აღიარებენ. სენ სიმონის მოწაფეებმა საფრანგეთში დააარსეს მთელი მიმართულება, რომლის მიმდევრების რიცხვი 2831 წელს 40,000-მდე ადიოდა, მაგრამ ეს მოძრაობა ატარებდა ინტელიგენტურ ხასიათს და არ იწვევდა ხალხის თანაგრძნობას. ამიტომ სენ-სიმონის მოძღვრებას ისტორიაში აქვს იდეიური ხასიათის მნიშვნელობა...

„მომავალი ჩვენია, ამას ფიქრი არ უნდაო“ — სთქვა მან და ასეთის რწმენით ის მოწყდა წუთი სოფელს... 19 მაის 1825 წ. სენ-სიმონი იდეისთვის თავდადებულ პიროვნების განხორციელებაა...

ი. გ.

## ანგარიშების წარმოება.

**I. წლიური ანგარიში.** ყოველ წლის გათავებისთანავე საკრედიტო ამხანაგობამ უნდა გამოუგზავნოს წვრილი კრედიტის ინსპექტორს: 1) წლიური ანგარიში (ორი ცალი), 2) საზოგადო კრების ოქმი, რომელშიდაც უნდა იქნეს აღნუსხული საზოგადო კრების დადგენილებანი: ა) წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე, ბ) გამგეობისა და საბჭოს ზოგიერთ წევრების არჩევაზე; ვ) სახელმწიფო ბანკისგან კრედიტის სარგებლობაზე და კრედიტის გადიდების შესახებ შუამდგომლობის აღძვრაზე; გ) პროცენტების განსაზღვრა გაცემულ და მიღებულ სესხებზე და აგრეთვე მობარებულ ფულებზე და დ) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე (ორი ცალი); 3) ცნობები სესხის გაცემაზე (ორი ცალი); 4) ცნობები მართველობის წევრთა ვინაობაზე (ერთი ცალი); 5) ამხანაგობის წევრთა სია (ერთი ცალი); და 6) სია ვადაზე გადაცილებულ ვალებისა, მათი ასაღებათ მიღებულ ზომების აღნუსხვით (ერთი ცალი).

**II. წლიური ანგარიში.** ამხანაგობამ უნდა გამოუგზავნოს ინსპექტორს თვიური ანგარიში,—მიუხედავათ იმისა — ქონდა თუ არა ამხანაგობას აღებ-მიცემა. ანგარიში უნდა იქნეს წარდგენილი ორ ცალათ, მეორე თვის მეათე რიცხვამდე.

**III. მეოთხედი წლის ანგარიში.** ოთხჯერ წლის განმავლობაში თითეული ამხანაგობა, მიუხედავათ იმისა სარგებლობს ის თუ არა კრედიტით სახელმწიფო ბანკიდან, — ვალდებულია წარუდგინოს ინსპექტორს განსაკუთრებული ანგარიში გასულ სამი თვის აღებ-მიცემის შესახებ. ანგარიშთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ცნობები გაცემულ სესხის შესახებ (რისთვის არის გაცემული სესხი); ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტის გადიდების და გახსნისთვის; ცნობები უნდა იქნეს ნამდვილი. რევიზიის დროს ინსპექტორი ათვალიერებს ყველა ანგარიშთან ერთათ ამ ცნობებსაც.

ამხანაგობა თავის არსებობის პირველ წელს უგზავნის ინსპექტორს კრედიტის შესახებ განცხადებების პირს.

**IV. სხვადასხვა დროის ანგარიშები.** მორიგ ანგარიშების გარდა ამხანაგობა ვალდებულია წარუდგინოს ინსპექტორს ოქმები ყველა საზოგადო კრებისა და აგრეთვე საბჭოსი ან საბჭოსი და გამგეობისა, რომელნიც შეეხებიან რომელიმე ბოროტ-მოქმედებას, უსამართლობას და სხვა ასეთებს და აღნუსხავენ ზომებს მათი მოსაშორებლათ და ამხანაგობის დასაყენებლათ ნამდვილ საფუძვლებზე.

**V.** ყველა ის ამხანაგობა, რომელნიც სარგებლობენ კრედიტით სახელმწიფო ბანკიდან, ვალდებულნი არიან გააგებინონ ინსპექტორს ცნობები ყველა საზოგადო კრების შესახებ. ეს ცნობები უნდა შეიცავდენ იმ კითხვებს, რომლებიც განზრახულია საზოგადო კრებაში განსახილველათ. საზოგადო კრების შესახებ ადრიდანვე უნდა ეცნობოს ინსპექტორს რომ მას შეძლება ექნეს დაესწროს კრებას, თუ ის ამას მოისურვებს.

წვრილი კრედიტის ინსპექტორი თ-დი **ზ. მიქელაძე**

## მიმდინარე ცხოვრება.

ტოტომიანცის მოხსენების გამო. როგორც ვიცით, თფილისის სამეურნეო საზოგადოებაში ბ. ტოტომიანცმა წაიკითხა მოხსენება „მოსკოვის სა-

ხალხო ბანკის შესახებ და აღნიშნა, სხვათა შორის, რომ თუ ამიერ კავკასია მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ ბანკში 50,000 მანეთით, შესაძლო იქნება თფილისში მისი განყოფილების გახსნა. ამ ნომერში მოთავსებული ჩვენი მოსკოველ თანამშრომლის წერილშიც ასეთივე აზრია გატარებული, და ჩვენ მოუწოდებთ ყველას—მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ბანკში. მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის. უნდა გვ ხსოვდესთ, რომ ჩვენი მდგომარეობა დიდათ განსხვავდება პოლონეთის მდგომარეობიდან (ამის გამო ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებში მოთავსებულ წერილების შესახებ ვრცელი სტატია გადადებულია შემდეგ ნომრისთვის).

ტოტომიანცის მოხსენებას **ქართველობა დიდის თანაგრძნობით და აღფრთოვანებით მიეგება** ბაქოში. დამსწრე საზოგადოებამ შეიძინა 25,000 მანათის პაი იმ პირობით, რომ განყოფილება გაიხსნეს თფილისში. ამ ფულში 5000 მანეთი მხოლოდ ბ. მანსვეტაშვილს გადაუცია, რაც—როგორც ტოტომიანცს ხაზგასმით აღუნიშნავს—აიხსნება მანსვეტაშვილის საქმისადმი დიდის სიყვარულით. ვისურვოთ, რომ მისი მაგალითი არ დარჩეს წაუბაძველი.

**რედაქციამ** ტელეგრამით თხოვა ბ. ტოტომიანცს, რომ მან ქუთაისშიდაც წაიკითხოს ლექციები.

**ქალების საყურადღებოთ.** ქ ბ. თეოდოსი ჯაფარიძისამ ამას წინათ საყურ დღებო წერილი მოათავსა „კოლხიდაში''. ამ წერილში ის მოუწოდებს ჩვენს ქალებს საქმიანობისკენ და ურჩევს მათ საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას. ქალების როლის შესახებ კოოპერაციაში ჩვენ უკვე გვქონდა წერილები (იხ. „კოოპერაცია'' № 7-ის მოწინავე: „ქალების როლი კოოპერაციაში'' და სხვ.); ამ ნომერშიდაც არის შე აფერი წერილი, და, რა თქმა უნდა მომავალშიდაც ჩვენ არა ერთხელ დავუბრუნდებით ამ საკითხს. აქ კი მივაქცევთ ჩვენ ქალების ყურადღებას იმას, რომ მათ უნდა მიიღონ განსაკუთრებული მონაწილეობა მომხმარებელ საზოგადოებაში, სადაც ქალებს ფართეს ამოღვაწეო ასპარეზი ეშლებათ. ქუთაისში, თფილისში და სხვაგან უკვე არსდება ასეთი საზოგადოება და დროა, რომ ქალებმა დაიკავონ თავისი ადგილი. მომხმარებელი საზოგადოების ნორმალური წესდება სულაც არ ზღუდავს ქალების უფლებას და, თუ ისინი მოისურვებენ, ბევრს რამეს გააკეთებენ ამ ნიადაგზე. დროა აგრეთვე, რომ შესდგეს **ქალთა საკოოპერაციო წრე.**

**საშუამავლო ოპერაციების ახალი ფორმა.** შუხუთის საკრ. ამხ. აცნობა წვრილი კრედიტის სამმართველოს, რომ ის მიმდინარე წლიდან კისრულობს თავის თავზე საშუამავლო ოპერაციებს სახნავ მიწის იჯარით ასაღებათ. ნიგოითის რაიონში 4000-მდე ქცევა სახნავ-სათესი მიწა ჰქონია სახელმწიფო ბანკს. დღემდე მიწის ხარისხის განურჩევლათ $2\frac{1}{2}$ ქცევას (десятина) ბანკი იძლეოდა 6 მანათად. საკრედიტო ამხანაგობას კი ბანკი აძლევს მიწას 30% გამორიცხვით, ე. ი. 4 მ. 20 კ. ამხანაგობა ხარისხებათ ჰყოფს მიწას და ასეთ ფასებს აწესებს „დესიატინაზე'': პირველ ხარისხის 5 მ.; მეორე—4 მ., მესამე—3 მ. 50 კ. და მეოთხე—3. მეტია ლაპარაკი ასეთ საშუამავლო ოპერაციის მნიშვნელობაზე და სასურველია, რომ ის გავრცელდებოდეს სხვა რაიონებშიდაც. მადლობის ღირსია ამის მოთავე—შუხუთის ამხანაგობის მზრუნველი, ბ-ნი გ. პოლშინი.

**რედაქციისაგან.** ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წერილი ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობის შესახებ—თავმჯდომარის, ფ. მ. ხელაძის სურათით—გადაიდო შემდეგ ნომრისთვის.

**შემდეგ ნომერს დაერთობა 3 სურათი,** გამოვა 29 იანვარს, მოთავსებული იქნება, სხვათა შორის, პროფესორ **ჩუპროვის სურათი** და ბიოგრაფია.

**„კოოპერაციის სისტემა''.** მალე დაიწყება გიბნერის „კოოპერაციის სისტემის'' ბეჭდვა. ამ დღეებში გამოცხადდება მასზე ხელის მოწერის პირობები.

**წესდებები.** რედაქციამ მიიღო ყოველნაირ კოოპერატიულ ამხანაგობის წესდებები.

ტეხნიკურ პირობების გამო საკოოპერაციო კურსებისა და საკრ. ამხ. კავშირის წესდებები გადადებულია შემდეგ ნომრისთვის.

# კოოპერაცია ჩვენში.

— **საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების კრება ქუთაისში.***) 17 დეკემბერს ქუთაისში გაიხსნა აღნიშნულ პირთა კრება, რომელიც გაგრძელდა 22-მდე. კრება გახსნა წვრილი კრედიტის ინსპექტორმა, თ-მა ზ. პ. მიქელაძემ, რომელმაც პირველ დღეებში გააცნო დამსწრეთ წვრილი კრედიტის დაწესებულებებში ანგარიშისა და მიწერ-მოწერის წარმოების წესრიგი. უკანასკნელ დღეებში კი გაიმართა თათბირი სადღეისო საკითხებზე და მიღებულ იქნა რამდენიმე საყურადღებო რეზოლიუციები. აქვე აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კავშირის დაარსებას. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა ყოველივე ზო

*) ეს მასალა დამზადებული იყო მე, 18-ე ნომრისათვის, მაგრამ ტეხნიკურ პირობების გამო ვერ იქნა იქ მოთავსებული

რედ,

მის მიღება კავშირის დასაარსებლათ, რაც შეიძლება ადრე. კომისიაში შედიან: თავმჯდომარეთ თ-დი ზ. პ. მიქელაძე, ხოლო წევრებათ: ყვირილის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ბ-ნი გუნცაძე, ,,კოოპერაციის'' რედაქტორი ი. ბ. გაბილაია, ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ფ. მ. ხელაძე, ამავე ამხანაგობის მზრუნველი გ. გ. გიგინეიშვილი და ბელაგორის საკრ. ამხ. საბჭოს წევრი პ. მ. ლეჟავა; კრებაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1) ძველი შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებში მიღებული უფულოთ ვექსილების გაახლება და მისი მავნებლობა; 2) რანაირი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ უკეთ მოეწყოს საქმე არსებულ ამხანაგობებში; 3) სახელმწიფო ბანკიდან სხვადასხვა კრედიტის მიღება, 4) საშუამავლო და საგირაო ოპერაციების შემოღება აბრეშუმის თელზე და პარკზე, ბამბაზე, ღვინოზე, სიმინდზე, შაბიაბანზე და სხვ. სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო იარაღებზე და მასალებზე, 5) ჟურნალ ,,კოოპერაციის ''რედაქტორის მოხსენება ჟურნალზე დახმარების აღმოჩენისა და საკოოპერაციო კურსების დაარსების შესახებ. ჟურნალზე დახმარების აღმოჩენის შესახებ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს გამგეობის წევრებს გამოიწერონ ჟურნალის რამდენიმე ცალი, გამართონ ხელის მოწერა და ისედაც დახმარება აღმოუჩინონ შეძლების გვარათ; საკოოპერაციო-კურსების დაარსება კრებამ იცნო დიდათ სასარგებლოთ და საჭიროთ.

დასასრულ კრებამ მადლობა გამოაცხადა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების სახელზე, რომელმაც მოიწვია როგორც წელს, ისე შარშანაც წვრილი კრედიტის წარმომადგენლების კრება და სურვილი გამოაცხადა, რომ ყოველ-წლობით იმართებოდეს ასეთი კრებები. 21 დეკ., საღამოს, გაიმართა ლექცია კოოპერაციაზე, რომელსაც დაერთო ბუნდოვანი სურათები.

— **ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობას** ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიაბარა 500 მანათი, ისეთ პირობებში, როგორც სათავად-აზნაურო ბანკმა—1000 მანათი. სასურველია, რომ, როგორც კერძო პირები, ისე საზოგადო დაწესებულებები თავისუფალ ფულს მიაბარებდენ მხოლოდ წვრილი კრედიტის დაწესებულებებს. ეს მათთვინაც უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია, რადგანაც, შედარებით სხვა ბანკებთან, ეს დაწესებულებანი უფრო უზრუნველ ყოფილია მთავრობის მიერ (სახელმწიფო ბანკის საშუალებით).

# თეატრი და კოოპერაცია

(გაგძლება, იხ. „კოოპ.“ № 18)

ი. ხ. ოზეროვი ურჩევს მომხმარებელ საზოგადოებებს არ დაზოგონ საშუალება კულტურულ—განმანათლებელ დაწესებულებების დასაარსებლათ. ჩვენც ვიზიარებთ პატივცემულ პროფესორის აზრს აღნიშნულ საკითხის შესახებ და გვინდათ დავახასიათოთ ამ წერილში სახალხო თეატრის საზოგადოებრივი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ **სახალხო თეატრი ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ხალხის გასავითარებლათ.** „თეატრალური წარმოდგენა თითქმის იგივეა, რაც წიგნების კითხვა, ეს არის ისეთი კითხვა, რომელსაც ერთობა ცოცხალი სურათები.. იქ, სადაც ხალხის უმრავლესობამ არ იცის წერა-კითხვა და ის ნაწილი კი, რომელმაც იცის ის (წერა-კითხვა) არ არის საკმაოთ განვითარებული და კითხვის მეხანიზმთან იმდენათ შეთვისებული, რომ მისთვის მისაწვდომი იყოს ბელეტრისტული ნაწარმოები (მოთხრობა და სხვა); აწერილობა მას ეჩვენება მოსაწყენათ, ლაპარაკი მისთვის გაუგებარია,—იქ, სადაც ხალხისთვის კარგი წიგნი მიუწვდომელია სიძვირისა და, ხშირათ კი, ცენზორის პირობების გამო,—თეატრი საუცხოვოთ ავსებს იმ ნაკლს, რომელსაც აქვს ადგილი კითხვის დროს. რაც გინდ ღარიბი იყოს დეკორაცია, რაც გინდ უბრალო იყოს კოსტიუმები და წარმოდგენის მთელი მორთულება, მაინც უფრო ადვილია ამ „ცოცხალ სურათების“ საშუალებით გმირების გაგება და დაფასება, ვინემ ამ სურათების წარმოდგენა ლიტერატურულ ნაწარმოების წაკითხვის საშუალებით. როდესაც ხალხი ხედავს სცენაზე მოქმედთ—„ცოცხალ სურათებს“—ის უფრო აკვირდება ნაწარმოების შინაარსს, ითვისებს მას და უკეთესათ ავითარებს თავის გონებასაც, ვინემ მაშინ, რა თქმა უნდა, როდესაც ის ძლივს-ძლივს ახერხებს ამ ნაწარმოების წაკითხვას“.

ეს აზრი გამოითქვა, როგორც ვიცით, ამას წინათ მოსკოვში, (გასული წლის აგვისტოში) ერობათა წარმომადგენლების სიეზდის მესამე (სახალხო განათლების) სექციაზე და ამ სექციამ თეატრის საკითხი შეიტანა ერობის პროგრამაში. იქვე იქნა აღნიშნული აღმზრდელობითი მნიშვნელობა სახალხო თეატრისა. „თეატრი უნდა იყოს კეთილის საქადაგებელი ასპარეზი და ეს ქადაგება ყველაზე უფრო მოსახერხებელი, ყველასათვის მისაწვდომი და უბრალო უნდა იყოს. რამდენათ უკულტურობა

მაყურებლები, იმდენათ უმძლავრესია მათზე თეატრის გავლენა.“

ჯერ კიდევ ა. ი. ოსტროვსკიმაც აღნიშნა მეფე ალექსანდრე მესამისადმი თავის მოხსენებაში, რომ „საღ გონებას თეატრი იპყრობს თავის მძლავრი გავლენითო“ (свѣжую душу театръ захватываетъ властной рукой). აი ნ. ვ. გოგოლის აზრიც (ერთი მისი წერილიდან) იმავე საგანზე: „თეატრი სრულებით არ არის უსარგებლო და არც უსაქმოთა თავშესაფარი, და სალაყბო დაწესებულება და უშინაარსო საგანი; შესაძლოა იქ აუარებელი მაყურებლების, მთელი ბრბოს მოთავსება; თუ ავიღებთ ამ მაყურებლებს ცალ-ცალკე, ადვილათ დავრწმუნდებით, რომ მათ შორის საერთო ბევრი არაფერია; მხოლოდ თეატრს შეუძლია მათი აქვითინება, მხოლოდ თეატრს შეუძლია გამოიწვიოს მათში ერთნაირი აღტაცება და ერთნაირად გამხიარულება. ეს ისეთი კათედრაა, საიდანაც შესაძლოა ვუთხრათ ქვეყანას ბევრი რამ კეთილი“.

(შემდეგი იქნება)

---

# კოოპერატივები.

(გაკვრით)

ამას წინათ პეტერბურგში გამოვიდა რუსულათ ნათარგმნი ფინლიანდიის საზოგადო მოღვაწე დ-რ ჰანეს-ჰებხარდის შრომა: „**კოოპერატიული მოძრაობის ისტორია ფინლიანდიაში**“. წიგნის ავტორი თავმჯდომარეა ფინლიანდიაში კარგათ ცნობილი საზ. „პერელვოსი“ რომლის უმთავრესი მიზანია კოოპერაციის იდეის გავრცელება და კოოპერატიულ ორგანიზაციების მოწყობა-შეკავშირება. ეს საზოგადოება არსებობს სულ რაღაც 10 წელი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ის ძლიერ თვალსაჩინოთ გაზრდილა, რასაც მკითხველი პირველ თვალის გადავლებით ამოიკითხავს იქვე მოყვანილ ცხრილებში და სტატისტიკურ ცნობებში. მაგ., ზეთის სახადი ქარხნები 1902 წ. იყო 28, 1909 წ. კი—353; საკრედიტო კოოპერატივები 1901 წ. თითო ან ორორი იყო, 1909 წ.—384. ამ ათი წლის განმავლობაში საკვირველათ გაზრდილა უპირველეს საჭირო საგნების კოოპერატივები: ორთქლის მატორების, ნავთის გადასამუშევარ მანქანების, ხე-ტყისთვის ბაზრის მოპოება-გაყიდვის და სხვ.

ერთი სიტყვით ამ ათი წლის წინათ კოოპერატიული მოძრაობა ფინლიანდიაში პირველდაწყებით ხანაში იმყოფებოდა, ახლა კი აღნიშნულ საზოგადოების, „პელერვო“-ს დაუშრეტელი ენერგიით და მეცადინობით ის ძლიერ გაზრდილა, ფართოდ მოდებია მთელ მხარეს. როგორც ეტყობა, ფინლიანდიელებს უნდათ გაუსწორდენ ბელგიელებს, რომლებიც, როგორც ვიცით, თვალსაჩინო როლს თამაშობენ კოოპერაციის ისტორიაში.

რუსეთში, საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში, კოოპერაცია ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული. უმთავრეს მიზეზთაგანი შეიძლება სხვაც იყოს, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ხალხის განვითარებას და შეგნებას ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე სხვადასხვა ფორმალური მხარე, თხოვნები, ნებართვა და სხვ., როგორც ისინი ჩვენშია დაყენებული, ძლიერ უშლის ხელს საქმის დაწყებას და მოწყობას. ეჭვს გარეშეა, რომ კოოპერატივებს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენში, საქართველოში როგორც ვეებერთელა რუსეთშიაც, ისე ჩვენში გლეხის მდგომარეობა, ხვნა-თესვა და საზოგადოთ მეურნეობის განვითარება პირდაპირ ხელს უწყობს კოოპერაციის განვითარებას,—გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება სხვა საშვალებით ახლანდელ პირობებში შეუძლებელია. ისეთი სიმშილი, როგორიც წელს არის მოსალოდნელი და საზოგადოთ სანოვაგის გაძვირება ქალაქებში და სოფლებშიაც ხომ კიდევ საშინლათ აორკეცებს ისედაც ცუდ მდგომარეობას. რაც შეეხება კოოპერატივებს ისინი მუდამ საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობის დროს კოოპერატივებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

აუცილებელი საჭიროა სოფლისათვის სამეურნეო კოოპერატივები: სამეურნეო იარაღის და მანქანის, მიწების სასუქის და სანოყიეროს, მებაღეობის, მეღვინეობის, საკრედიტოს, ნაწარმოების გასასყიდათ ბაზრის მოსაპოვებელი და სხვ.

ამ ბოლო დროს, როგორც ზემოთ ვსთქვით, პირველ მოთხოვნის საგნები საშინლათ გაძვირდა ყოველგვარ სანოვაგეს ფასი დღითი-დღე ემატება, მუდამ ხედავ და გესმის ირგვლივ, რომ ცხოვრება საშინლათ გაძნელდა.. ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის, ის თითქმის მუდმივია და პროგრესიული. ყველა მის წინააღმდეგ სუსტია და გზა დაბნეული. ყოველგან გაისმის: როგორ ან რანაირათ უნდა ვებრძოლოთ ამ საშინელ სენს?.. ცხადია, რომ ერთად ერთი, საუკეთესო, ყველაზე უფრო რაციონალური საშუალება სიძვირის წინააღმდეგ იგივე კო-

ოპერატივებია, — კოოპერატივების ფართო ორგანიზაცია, ორგანიზაცია რაც შეიძლება ფართო მასსაში — ყოველგან, სოფელშიაც და ქალაქშიც.

ცხოვრების სინამდვილემ უნდა დაგვანახოს, რომ კოოპერატივი ერთი საუკეთესო წამალია ამ სენის წინააღმდეგ. და თუ თითეულს ძალა არ შეგვწევს ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ საბრძოლველათ, — ცხადია, რომ შეერთებულის ძალით ის ძლიერ გაგვიადვილდება, რადგან, როგორც ბელგიელები ამბობენ; „ერთობა ჰქმნის ძალას“-ო (L'union fait la force).

მირ. ოცხანელი.

ხარკოვი.

## საკოოპერაციო სექცია.

9 ნოემბერს მოხდა თფილისის ქართულ სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო პროგრამა და პრაქტიკულ მოღვაწეობის გეგმა. მოგვყავს რა ქვემოდ ეს უკანასკნელები, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მათი ღირსება და ნაკლუანებებზე გამოვსთქვათ თავისი აზრი შემდეგ ნომრებში.

რედაქცია.

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის მოქმედების საზოგადო პროგრამა. 1. სასოფლო კოოპერაციის იდეის პროპაგანდა და მის შესახებ ნამდვილი წარმოდგენის გავრცელება საუბრებისა და ლექციების საშუალებით, ბროშურების და პლაკატების გამოცემით და კოოპერატიულ დაწესებულების ხელმძღვანელთა და მოღვაწეთათვის კითხვებისა და კურსების მოწყობით.

2. პროვინციებში კოოპერატივების ორგანიზაცია შემდეგის სისტემით: შეთანხმებულ-შეერთებული მოქმედება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა, სპეციალურ კოოპერატივებისა და მომხმარებელ საზოგადოებებისა.

შენიშვნა: მომხმარებელი საზოგადოება არსდება სოფლად მხოლოდ განსაკუთრებულ საჭიროების დროს და ადგილობრივ პირობების ზედმიწევნით გათვალისწინების შემდეგ.

3. ყოველ რაიონში აღინიშნება თითო ან რამდენიმე პუნკტი. თითეულს პუნკტში არსდება საკრედიტო ამხანაგობა და ერთ-ერთი გვარი სასოფლო კოოპერაციისა. ასეთ კოოპერატივებთან სარაიონო კავშირი აწყობს საცდელს და საჩვენებელ მინდვრებს.

ა) იმ რაიონში, სადაც მისდევენ ხვნა-თესვას, არსდება საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი, რომელთა მიზანსაც შეადგენს მიწოდება წევრთათვის მეურნეობაში საჭირო იარაღებისა და მანქანების, ნიადაგის გასაპოხიერებელ ნივთიერებისა, გაუმჯობესებულ თესლისა, კარგი ჯიშის საქონლის, სახურებელის პუნქტისა და სხვა (ქართლი, ივრის ხეობა და ქიზიყი).

ბ) მეღვინეობის რაიონში არსდება საკრედიტო და მეღვინეთა ამხანაგობა ყურძნის საერთო დასამუშავებლათ მეღვინეობაში საჭირო მანქანებისა და ვენახის შესაწამლ ნივთიერების მისაწოდებლათ და სხვა ასეთ ამხანაგობების კავშირის საშუალებით მოწყობს მომავალში მეღვინეთა ნაწარმოების საერთოდ გასაღებისა.

გ) იმ რაიონებში, სადაც მეხილეობას მისდევენ, არსდება საკრედიტო და მეხილეთა ამხანაგობა, რომლის მოქმედება ვრცელდება ფართო რაიონზე. პირველს ხანებში ასეთი ამხანაგობა მიზნათ ისახავს მეხილეთა ნაწარმოების გასაღებას. შემდეგ არსდება უფრო წვრილ-წვრილი მეხილეთა ამხანაგობანი, რომელნიც მთავარ ყურადღებას მიაქცევენ ხეხილის ბაღებისა და ხილის დამუშავება-შენახვის ტეხნიკის გაუმჯობესებას.

შენიშვნა: წვრილი ამხანაგობანი უნდა შევიდნენ პირველად დაარსებულ სარაიონო ამხანაგობაში, რომლის მიზანიც იქნება მხოლოდ წევრთა ნაწარმოების გასაღება;

დ) მესაქონლეობის რაიონებში არსდება საკრედიტო ამხანაგობა მერძეობის ამხანაგობით საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლათ, საზიაროდ კარგი ჯიშის ბუღის გამოსაწერათ, სახურებელ პუნქტების და საკლავ საქონლის საერთოდ დახოცვის მოსაწყობათ და სხვა.

ე) ამავე წესით არსდება სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების კოოპერატივებიც.

4. არსებულ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა ისტრუქტორობის მოწყობა.

5. პირველად დაარსებული ამხანაგობანი სამუდამოთ რჩებიან სექციის და სარაიონო აგრონომის მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ. ასეთი ამხანაგობანი, როგორც სამაგალითონი, ხელს შეუწყობენ დაარსებაში ახალს კოოპერატივებს, რომელნიც უნდა მოეწყვნენ თავისით და ადგილობრივ ძალების თაოსნობით.

6. ახლო მომავალში საჭიროა რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა კავშირის დაარსება, რომელშიაც შევლენ წევრებათ ყველა ადგილობრივი კოოპერატივები.

7. ზემოთ აღნიშნულ კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების დროს სექცია ხელმძღვანელობს შემდეგის მოსაზრებით:

ა) აარსებს კოოპერატივებს იქ, სადაც მას მოითხოვს ადგილობრივი შესაფერი საჭიროებანი; ითვალისწინებს ყოველს კონკრეტულს შემთხვევაში ადგილობრივ მოთხოვნილებას, სახსარს, ინტელიგენტურ ძალას და სხვა გარემოებებს

ბ) ეხმარება როგორც უკვე არსებულ კოოპერატიულ დაწესებულებებს და სხვა გვარ ასოციაციებს, აგრეთვე ისეთებს, რომელნიც ახლად არსდება, და ცდილობს დააყენოს მათი მოქმედება კოოპერატიულს გზაზე.

გ) სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჩვენს სოფლებში არსებულ კოოპერაციის პირველ ყოფილ ფორმებს:

ხანულობას, ნაცვალგარდობას, მოდგამობას და სხვა; ეცდება გამოიყენოს იგი, როგორც მზა-მზარეული საკირნშელი, შესაფერის კოოპერატივის დასამყარებლათ.

**საკ. სექციის პრაკტიკულ მოღვაწეობის გეგმა 1912 წლის განმავლობაში.** 1) სექციის ხელმძღვანელობით 1912 წ. იანვარში მოეწყობა საუბრები კოოპერაციის და ანგარიშის წარმოების შესახებ სპეციალურათ სადგილ-მამულო კომისიის ინსტრუკტორთა, ქართულ ს.-ს. საზ. აგრონომთათვის, აგრეთვე გარეშე წრის მცირე ხალხისთვის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საკოოპერაციო კითხვებით.

2. ზაფხულის დასაწყისში ქ. თფილისში სექცია მოაწყობს ხოლმე ყოველ-წლიურ კურსებს კოოპერაციისა და ანგარიშის შესასწავლათ კოოპერატიულ დაწესებულებების მოღვაწეთა და მუშაკთათვის. კურსები მოეწყობა 1912 წლიდან.

3) მიეცემა ეხლავე საკრედიტო ამხანაგობებს თფ. გუბერნიისას საინსტრუქტორო დახმარება,—ყველა იმას, რომელიც კი საჭიროებს ასეთს დახმარებას—ამიტომ სექციამ დაადგინა—მოწვეულ იქნეს **ინსტრუქტორი**—ანგარიშის მწარმოებელი.

4) სექციის ხელმძღვანელობით მოეწყობა ქართლში ამხანაგობა, მეხილეთა ნაწარმოების გამსაღებელი.

5) მოეწყობა მერძეობის ამხანაგობა სოფ. დიდლილოში (თფ. მაზრა). უკანასკნელ გეგმის განსახორციელებლათ საკოოპერაციო სექციამ მოიწვია ინსტრუქტორი ა. მ. კახელაძე და უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

,,ს. გ.''

სექციის მდივანი **დავით ვაჩნაძე.**

## ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა.

**უშაფათის საკრედიტო ამხანაგობას.** სამეურნეო საზოგადოების წესდება მივიღეთ (ბროშიურა), მივეცით გადასაბეჭდათ, ამ დღეებში პროექტი მზათ იქნება; დანიშნეთ ლექცია 3 იანვრისთვის. მომხმ. საზ. წესდება მზათ არის.

**ოჩემჩირე.** ერასტო ბესელიას. გთხოვთ გამართოთ ხელის მოწერა ჟურნალზე.

**ფოთის საკრ. ამხ.** გვიპასუხეთ წერილზე დაჩქარებით.

**საკრედიტო ამხანაგობებს.** მოგაგონებთ, რომ მათ წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა ქუთაისში—აღმოეჩინოს დახმარება ჟურნალ „კოოპერაციას“ და გაიმართოს ხელის მოწერა ამხანაგებს შორის.

**თანამგრძნობთ.** შეგვიწყვეთ ხელი ჟურნალის გავრცელებაში.

რედაქტორ-გამომცემელი **იასონ გაბილაია.**

**Открыта подписка на 1912 годъ.**
(Подписной годъ начинается съ 1-го ноября 1911 г.).

# СЕЛЬСКІЙ ХОЗЯИНЪ

Универсальный журналъ практическаго сельскаго хозяйства.
Подъ ред. **Ф. С. Груздева.** (27-й годъ изд.). Издатель **П. П. Сойкинъ.**

52 **№№ ЖУРНАЛА,** въ изящн. цвѣтныхъ обложкахъ, съ рисун. и чертежами, свыше 2000 столбцовъ большого формата

Въ теченіи года помѣщается около 1000 обстоятельныхъ, практич., общедоступныхъ статей по всѣмъ отраслямъ хозяйства. Большая часть статей иллюстрирована.

**12 КНИГЪ** СПЕЦІАЛЬНАГО ЖУРНАЛА ДЛЯ ХУТОРЯНЪ ХУТОРСКОЕ ХОЗЯЙСТВО.

Книги „Хуторскаго Хозяйства“ составляютъ цѣлую энциклопедію практическихъ свѣдѣній, необходимыхъ въ быту хуторянина. 5 практическихъ руководствъ: 1) Крупный рогатый скотъ. Проф. М. И. Придорогина. Воздѣлываніе масличныхъ растеній, Д. В. Федорова. 3) Разведеніе и содержаніе домашней птицы. А. А, Бѣлова. 4) Выборъ и уходъ за нефтяными и керосиновыми двигателями, К. И. Дебу. 5) Кожевное производство. И. П. Кривцова. Всѣ руководства снабжены многочисленными рисунками. Альбомъ. Устройство раціональнаго отопленія и кладка печей. Гражданскаго инженера С. Е. Зарина. Съ подробнымъ описсніемъ кладки русской, голландскихъ и утермаnскихъ печей, каминовъ, кухонныхъ очаговъ и п. сч. и 85 таблицами рисунковъ печей. **Три особыхъ приложенія:** 1) Новое въ сельскомъ хозяйствѣ. Составилъ Б. Н. Усовскій.

(Новые способы обработки почвы. Прививка и бактеріи почвы. Элекрокультура Новыя сел.-хоз. машины: тракторы, хэдеры, стрипперы. Естественные способы борьбы съ сел-хоз. вредителями. Новые способы предохраненія сел.-хоз. продуктовъ отъ порчи. Искусственное оплодотвогеніе животныхъ и пр.).

2 и 3) Коренныя улучшенія въ сельскомъ хозяйствѣ (меліораціи). Общирный трудъ въ 2-хъ томахъ, большого формата, заключаетъ въ себѣ слѣд. главные отдѣлы. 1) Мѣстныя улучшенія почвъ (удаленіе камней, навозка земли, известкованіе и мергелеваніе почвы, обработка залежи, перелоговъ и т. п. 2) Раздѣлка пустырей, верещатниковъ и лѣсныхъ пространствъ. 3) Осушка низменныхъ мѣстъ. Дренажъ. 4) Культура болотъ и торфяниковъ. 5) Орошеніе и обводненіе полей и луговъ. 6) Способы задержанія зимней влаги на поляхъ. 7) Орошеніе садовъ и огородоръ. 8) Укрѣпленіе и облѣсеніе летучихъ песковъ. Борьба съ врагами. Календарь Сельскаго Хозяина. Безплатные отвѣты. Сѣмена—новинки.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:** на годъ со всѣми приложеніями, съ доставкой и пересылкой по всей Россіи **6 РУБ.**

3—1 **Контора журнала: С.-Петербургъ, Стремянная ул., № 12.**

# ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ

на выходящій 2 раза въ мѣс. журналъ

## „НАШЕ ДѢЛО“

(Годъ изданія 4-ый).

**СТАТЬИ** принимаются на русскомъ и малорусскомъ языкахъ. **ЖУРНАЛЪ** посвящаетъ себя вопросамъ сельской и рабочей коопераціи. Преимущественно Кіевской губ. и всего юго-западнаго края, а также губерніи: Черниговской, Полтавской, Екатеринославской, Подольской, Херсонской и Бессарабской. **ЖУРНАЛЪ** издается при ближайщемъ содѣйствій членовъ Бюро Кіевск. Союза Потр. О-въ и этимъ самымъ непосредственно обслуживаетъ интересы всѣхъ потребительныхъ обществъ Кіевской и содѣдныхъ губерній.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**: на годъ—3 р., на 6 мѣс.—1 р. 65 к., на 2 м.—85 к.

**Адресъ редакціи:** Кіевъ, Подолъ, Спасская, 16. — Редакторъ-издатель **А. И Гнѣдишинскій** (предс. Бюро Кіевск. Союза Потр. О-въ). 3—1

---

# Открыта подписка на 1912 годъ на журналы

„СОЮЗЪ ПОТРЕБИТЕЛЕЙ“ и „ОБЪЕДИНЕНІЕ“.

**Изданія Московскаго Союза Потребительныхъ Обществъ.**

**10-й годъ изданія.** **„СОЮЗЪ ПОТРЕБИТЕЛЕЙ“** **10-й годъ изданія.**

Посвященный интересамъ русской коопераціи вообще и потребительской въ частности. Выходитъ 36 разъ въ годъ. **Подписная цѣна**: за годъ —3 р., за 1/2 г.—1 р. 60 к., за 3 мѣсяца—85 к. Сбропюрованные экземпляры „Союза Потребителей“ за 1904—1911 гг. по 2 руб. 50 к. съ пересылкой.

II годъ изданія. **Общедоступный иллюстрированный кооперативный журналъ** II годъ изданія.

## „ОБЪЕДИНЕНІЕ.“

Выходитъ два раза въ мѣсяцъ книжками въ 20 страницъ. Статьи и замѣтки по коопераціи, вопросамъ рабочей и крестьянской жизни, повѣсти, разсказы, стихотворенія. Изложеніе и содержаніе журнала приноровлено къ пониманію и нуждамъ рабочихъ и крестьянъ, составляющихъ главную массу членовъ въ Потребительныхъ Обществахъ.

**Подписная плата при отдѣльной подпискѣ 1 р. 20 к. въ годъ съ пересылкой.**

Адресъ: **Москва**, Новая Персведеновка, домъ Московскаго Союза Потреяительныхъ Обществъ

Редакторъ **В. Н. Зельгеймъ.** 3—1

---

**На 1912 годъ принимается подписка на еженедѣльное изданіе**

## „НАРОДНАЯ ГАЗЕТА“

ГОДЪ ИЗДАНІЯ СЕДЬМОЙ.

Органъ Союза Сибирскихъ Маслодѣльныхъ Артелей.

Подписная цѣна съ пересылькой: На 1 годъ—2 руб. 50 коп., на полгода—1 р. 30 к., на 1 мѣсяцъ—25 коп. Отдѣльные номера—5 коп. ТАКСА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: За 1 разъ за цѣлую страницу—30 руб., за полстраницы—15 руб. за четверть страницы—7 руб. 50 к. за строку петита 20 к.

При печатаніи объявленій въ каждомъ номерѣ (двойныя номера считаются за одинъ) въ теченіе цѣлаго года дѣлается скидка 75 проц. Всѣ объявленія помѣщаются позади текста.

Попдписныя деньги, а также всѣ запросы по изданію просимъ направлять по адресу: Курганъ, Тобольской губ., „Народной Назетѣ“. Подписка на „Народную Газету“ принимаются во всѣхъ почтовыхъ учрреждeніяхъ Россійской Имперіи.

Редакторъ А. А. Балашкинъ.

ვ 74
1912


# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

**ექვსი მაური** ... რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ ... ილის ფოსტით. ქუთაისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით** 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **„სახალხო გაზეთის“ კანტორაში,** (სასახლის ქ., **სარაჯიშვილის** სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა** 5%.



წელიწადი მეორე. მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ წელიწადი მეორე.

# 1912 კოლხიდა-ზე 1912

გაზეთის დასაკვეთი ფასი:

ერთი წლით . 7 მ.
ნახევ. წლით . 4 მ.
ერთი თვით . 4 აბაზი

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირი შეღავათიანი წესით შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მაისს 2 მან., პირველ ეკენისთვეს 2 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1 შაური, მისამართის გამოცვლისათვის ათი შაური. სოფლის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოებს, სტ. სათვი ტომოებს, სოფლის მასწავლებელთ და შკოლებს გაზეთი ოთხ მანეთად დაეთმობათ. საზღვარ-გარეთ: წლ —14 მ, თვიურათ—ექვსი აბაზი

მიიღება ხელის მოწერა ახალგაზდა მგოსნის გ. ტაბიძის წიგნზე

## „ლექსები და პოემები“

რვეული 1-ლი. ფასი ხელის მოწერით აბაზი.

ხელის მოწერა მიიღება ის. კვიცარიძის ჟურნ.-გაზ. კანტორა „იმერეთში“, წიგნ. მაღ. „პროვინციაში“, გოგიბერიძის წიგ. მაღ. და სხვ.



მიიღება ხელის მოწერა 1902 წლის ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ბათუმის გაზეთზე“

**გაზეთის ფასი:** წლით 4 მ. ნახევარი წლით 2 მ. 40 კ. ერთი თვით 60 კაპ. 1912 წ. წლიური ხელის მომწერლებს მთელი წლის ფულის შემოტანისთანავე მიეცემათ პრემიით ერთ მანეთად ღირებული სხვა და სხვა წიგნები, ამორჩევით იმ სიიდან, რასაც მახლობელ ნომერში გამოვაცხადებთ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ოთხი თვის განმავლობაში.


სტამბა იოსებ ხელაძისა ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩა, ექიმი გოკიელის სახლი.